ხელშეკრულება №36

ქ. თბილისი

10 მაისი 2017წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „შემსყიდველი") მისი გამგებლის ლაშა მარგიანის სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება. (CPV63712400-ავტოსადგომების მომსახურობები)

ა/მ დასახელება	სახ. ნომერი
სუბარუ ფორესტერი	IFI-018
სუბარუ ფორესტერი	YZY-208

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 2 (ორი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 100 (ასი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება „მიმწოდებლის" ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით,

უნაღდო ანგარიშსწორებით „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ხვანთქარ დევდარიანი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტს მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის 89/24. ს/კ 253073365 სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 ტელ: 577 251015, 2 159295 e-mail: zemoabkhazeti@gmail.com	შპს „სი-ტი პარკ" საიდენტიფიკაციო კოდი 204543770 ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47 ტელ: 2555123 ს.ს. "თიბისი ბანკი" ც/ფ ბანკის კოდი TBCBGE22 ანგარიშის №GE75TB7721336070100003
---	---
ამბასადორ ლაშა მარგბანია	გენერალური დირექტორი ბ. ლაჰავ